ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №11

13.04.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **გიორგი კიკვიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის

სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808827-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808835-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808827-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - AR1555662; AR1560904; AR1565401; AR1571059; AR1570951).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 5 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №31/13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.013.004 და საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015-ის მიმდებარედ) (320 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1555662).**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, კოსტავას I შესახვევი, №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.133) (470 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1560904).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაციით, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დასაბუთებაში მისამართის, ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების)(ელ. განცხადება AR1560904) სარეზოლუციო ნაწილში მისამართისა და კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტურის (მიწის ნაკვეთის ფართობის) მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც საჭიროებს გასწორებას. კერძოდ, AR1560904 ელ. განცხადებით მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება №01.15.03.010.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობი: 470 კვ.მ.) ნაწილზე (16 კვ.მ.-ზე), რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მდებარეობს ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №45ბ-ში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაცვლად:

„2. **ქ. თბილისში, კოსტავას I-ლი შესახვევი, №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.133) (470 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით.**

AR1560904“

უნდა იყოს:

„2. **ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა №45ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.133) (16 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით.**

AR1560904“

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) ცნობად იქნას მიღებული მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დასაბუთებაში მისამართის, ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების)(ელ. განცხადება AR1560904)

სარეზოლუციო ნაწილში მისამართისა და კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტურის (მიწის ნაკვეთის ფართობის) მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის თაობაზე.

2) კენჭი ეყაროს ქ. თბილისში, კოსტავას I-ლი შესახვევი, №1-ში (იურიდიული (ფაქტობრივი) მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა №45ბ-ში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.133) (16 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხს (AR1560904).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - ქ. თბილისში, არტურ ლაისტის ქუჩა №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.114) (30 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1560904).

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.042.040-ზე და მიმდებარედ) (3.81 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილების შესახებ (AR1571059).

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქ. თბილისში, თელეთში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.03.12.655-ის ნაწილზე) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის და სარეკრეაციო ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით (796 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1570951).**

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. 2018 წლის 29 მარტის **№12-031808827-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დასაბუთებაში მისამართის, ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების)(ელ. განცხადება AR1560904) სარეზოლუციო ნაწილში მისამართისა და კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტურის (მიწის ნაკვეთის ფართობის) მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომები გასწორდეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808827-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადების - AR1555662; AR1560904; AR1565401; AR1571059; AR1570951) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - AR1561558; AR1564151; AR1562583).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 3 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას I შესახვევი, №33-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.03.004.039) ნაწილზე (ფართობი: 29 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1561558).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაციით, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დასაბუთებით, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ა. ჭოლოკავა) AR1561558 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას I შესახვევი №33-ში (ამჟამად: მზია (მედეა) ჯუღელის ქუჩა №3) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.03.004.039) ნაწილზე (ფართობი: 29 კვ.მ.). ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის 1-ლი საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია №01.15.03.004.039 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ძველი მისამართი - კოსტავას I შესახვევი №33, რაც საჭიროებს გასწორებას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დასაბუთებაში მითითებულ მისამართთან დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის 1-ლი საკითხის (წინადადების)(ელ. განცხადება AR1561558) სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირებული მისამართის შესაბამისობაში მოყვანის (დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების) თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას I შესახვევი №33-ში (ამჟამად: მზია (მედეა) ჯუღელის ქუჩა №3) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.03.004.039) ნაწილზე (ფართობი: 29 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 2-ის ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1564151).**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ზ. აზარაშვილი) AR1564151 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3-ში/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009; მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 30 კვ.მ.; მესაკუთრე: შპს „სიტი ემ"; სააქციო საზოგადოება „თელასი") ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.), სადაც განთავსებულია სს „თელასის" კუთვნილი ობიექტი.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - ფუნქციური ზონის ცვლილების გამომწვევი მიზეზისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ტერიტორიის განვითარების თაობაზე. ბ-ნმა გ. ტყემალაძემ მოითხოვა დაინტერესებული პირის (განმცხადებელი: ზ. აზარაშვილი) მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების დასაბუთების მიწოდება.

მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის (დასაბუთების) წარდგენა.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ბუნქტით წარმოდგენილი წინადადების (AR1564151) განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **გადადებული იქნას** მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- **განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩა №71-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.06.001.030) ნაწილზე (ფართობი:19 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (AR1562583).**

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ბუნქტით წარმოდგენილი საკითხის (AR1564151) განხილვა გადადებული იქნას დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადების - AR1561558; AR1562583) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808835-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - AR1562038; AR1562280).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 2 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, თელეთში (თბილისის სატყეო) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.03.12.616) მიმდებარედ (1705 კვ.მ.) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის, სამრეწველო ზონა 1-ის და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1562038).**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ვ. იობიძე) **AR1562038 ელ.განცხადებით მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის, სამრეწველო ზონა 1-ისა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, თელეთში (თბილისის სატყეო უბანი) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.03.12.616) მიმდებარედ 1705 კვ.მ. ფართობზე. მოთხოვნილ არეალზე გადის გრუნტის გზა, რომელიც უკავშირდება რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს და მის პერიმეტრზე მოწყობილია გარე განათების ლამპიონები.**

მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ მოითხოვა ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობის ამსახველი მასალის სხდომაზე წარდგენა.

მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ ინტერაქტიული რუკისა და ფოტო-მასალის დახმარებით, უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - ქ. თბილისში, თემქის დასახლება, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, №48 კორპუსის მოპირდაპირედ (ნაკვეთი 04/082) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.004.396) და მის მიმდებარედ (278 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808835-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადების - AR1562038; AR1562280) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე